საჯარო
სამსახურის
ბიურო
იფიციალური და გამჭვირვალე
საჯარო ძალისუფლება

KA040140465400013

საქართველო, თბილისი, 0134, ინგოროყვას ქ №7; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ფაქსი.: (+995 32) 2 92 33 78; ელ–ფოსტა: info@csb.gov.ge; www.csb.gov.ge

№ 62/სა **25** / ივნისი / **2013** წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დავით მამისეიშვილის ბათუმის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს დავით მამისეიშვილი, ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, ამავე დაწესებულების საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ.

საფუძველი: წერილი (N546ბ/კ)

ბიუროს უფროსის მოადგილე, დეკლარაციებზე მუშაობის დეპარტამენტის უფროსი — მაკა კურტანიძე

28.06.13
16228

ბათუმის საქალაქო სასამართლოს

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№105

5 აგვისტო 2013 წელი
ქ. ბათუმი

ბათუმის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნის თაობაზე

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 36^1-ე და 36^3-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

შეიქმნას ბათუმის საქალაქო სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ხვიჩა კიკილაშვილი - სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე;

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრები:

ეკატერინე ჯინჭველაშვილი - ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე;

ვიოლეტა ფორჩხიძე - სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე;

ადამ მახარაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი;

თეონა ჭუმბურიძე - ფიზიკური პირი, ადვოკატი.

დავით მამისეიშვილი

ბათუმის საქალაქო სასამართლოს

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№106

5 აგვისტო, 2013 წელი
ქ. ბათუმი

ბათუმის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს შექმნის თაობაზე

ბათუმის საქალაქო სასამართლოს აპარატის მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულებით დამტკიცებული „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის“ მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზებულად ჩატარებისათვის შეიქმნას ბათუმის საქალაქო სასამართლოს აპარატის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

ლალი ქუთათელაძე - სამდივნოს უფროსი

მარიანა გახოკიძე - წევრი

2. კომისიის სამდივნომ უზრუნველყოს კონკურსის მონაწილეთათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.

დავით მამისეიშვილი

ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№107

5 აგვისტო, 2013 წელი
ქ. ბათუმი

ბათუმის საქალაქო სასამართლოს საპრეტენზიო კომისიის შექმნის თაობაზე

საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულებით დამტკიცებული „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

შეიქმნას ბათუმის საქალაქო სასამართლოს საპრეტენზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე - ჯუმბერ ბეჟანიძე ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე;

საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - თამარ ბურჯანაძე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.

საპრეტენზიო კომისიის წევრები:

ხათუნა ბოლქვაძე - სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე;

ინგა ფუტკარაძე – საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მოსამართლის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებელი;

დარინა აბულაძე – საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მოსამართლის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებელი.

დავით მამისეიშვილი

ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№108

5 აგვისტო, 2013 წელი
ქ. ბათუმი

ბათუმის საქალაქო სასამართლოს აპარატის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს თანდართული - ბათუმის საქალაქო სასამართლოს აპარატის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისათვის - დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით მამისეიშვილი

სასამართლოს აპარატის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

მუხლი 1

1. სასამართლოს მენეჯერის - საკადრო და საორგანიზაციო განყოფილების უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება: (სასურველია იურიდიული) ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) სასამართლო სისტემაში მუშაობის, (მათ შორის სტაჟირების) არანაკლებ 1 - წლიანი გამოცდილება ან ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 - წლიანი გამოცდილება;
გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების ცოდნა (Ms. Word, Ms. Excel, Ms. PowerPoint, Internet);
დ) სასურველია უცხო ენის ცოდნა;
ე)სასურველია სასამართლოს მენეჯერის სასერტიფიკატო კურსის გავლა;
2. სასამართლოს მენეჯერის - საკადრო და საორგანიზაციო განყოფილების უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:
ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ) სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობა;
გ) "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი;
დ) "საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ" საქართველოს კანონი;
ე)"საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ" საქართველოს კანონი;
ვ)„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი;
ზ)"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;
თ)"საქართველოს შრომის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონი;
ი) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
კ) საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის 466 ბრძანებულებით დამტკიცებული „რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ” დებულება;
ლ)"საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/310 გადაწყვეტილება.

მუხლი 2.
1. მოსამართლის თანაშემწის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) უმაღლესი იურიდიული განათლება: ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ) როგორც წესი, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში (სამოსამართლო სწავლების ცენტრში) სასწავლო კურსის გავლა, ან მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად, ადვოკატად ან სასამართლოში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, ან/და მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი;
გ) სასამართლო სისტემაში მუშაობის (მათ შორის სტაჟირების) არანაკლებ 6 - თვიანი გამოცდილება ან სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 - წლიანი გამოცდილება;
დ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების ცოდნა (Ms. Word, Ms. Excel, Ms. PowerPoint, Internet);
ე) სასურველი უცხო ენის ცოდნა;

2.მოსამართლის თანაშემწის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:
ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ) სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობა;
გ)"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი;
დ)"საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ" საქართველოს კანონი;
ე)"საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ" საქართველოს კანონი;
ვ)"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონი;
ზ)"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;
თ)"რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის #466 ბრძანებულება;
ი)"საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/310 გადაწყვეტილება.

მუხლი 3.
1. სხდომის მდივნის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა)უმაღლესი განათლება: (სასურველია იურიდიული) ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ) როგორც წესი, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში (სამოსამართლო სწავლების ცენტრში) სასწავლო კურსის გავლა ან სხდომის მდივნად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;
გ) სასამართლო სისტემაში მუშაობის (მათ შორის სტაჟირების) არანაკლებ 6 - თვიანი გამოცდილება ან არანაკლებ 1 - წლიანი სამუშაო გამოცდილება;
დ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების ცოდნა (Ms. Word, Ms. Excel, Ms. PowerPoint, Internet);
ე) სასურველია უცხო ენის ცოდნა;
2. სხდომის მდივნის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:
ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ) სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა;
გ)"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი;
დ)"საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ" საქართველოს კანონი;
ე) "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;
ვ)"რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის #466 ბრძანებულება;

ზ)"საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/310 გადაწყვეტილება.

მუხლი 4.

1. მაგისტრატი მოსამართლის აპარატში სხდომის მდივნის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი იურიდიული განათლება: ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ)როგორც წესი, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში (სამოსამართლო სწავლების ცენტრში) სასწავლო კურსის გავლა, ან მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად, ადვოკატად ან სასამართლოში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, ან/და მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი ან სხდომის მდივნად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

გ) სასამართლო სისტემაში მუშაობის (მათ შორის სტაჟირების) არანაკლებ 6 - თვიანი გამოცდილება ან სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 - წლიანი გამოცდილება;

დ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების ცოდნა (Ms. Word, Ms. Excel, Ms. PowerPoint, Internet);

ე) სასურველია უცხო ენის ცოდნა;

2. სხდომის მდივნის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ)სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობა;

გ)"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი;

დ)ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

ე)"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონი;

ვ)საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;

ზ)"საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ" საქართველოს კანონი;

თ) "საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ" საქართველოს კანონი;

ი)"რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის #466 ბრძანებულება;

კ)"საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/310 გადაწყვეტილება.

მუხლი 5.

1. კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების (განყოფილება) უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი იურიდიული განათლება: ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ) სასამართლო სისტემაში მუშაობის, (მათ შორის სტაჟირების) არანაკლებ 1 - წლიანი გამოცდილება ან სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 2 - წლიანი გამოცდილება;
გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების ცოდნა (Ms. Word, Ms. Excel, Ms. PowerPoint, Internet);
დ) სასურველია უცხო ენის ცოდნა;
2. კანცელარიის განყოფილების უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:
ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ) სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა;
გ) „საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონი;
დ)"საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ" საქართველოს კანონი;
ე)საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
ვ)"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;
ზ) საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის #414 ბრძანებულება ,,საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცების შესახებ''
თ) „რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის #466 ბრძანებულება;
ი)"საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/310 გადაწყვეტილება.

მუხლი 6.
1.წამყვანი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) უმაღლესი განათლება: (სასურველია იურიდიული) ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ)სასამართლო სისტემაში მუშაობის (მათ შორის სტაჟირების) არანაკლებ 6 - თვიანი გამოცდილება ან არანაკლებ 1 - წლიანი სამუშაო გამოცდილება;
გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების ცოდნა (Ms. Word, Ms. Excel, Ms. PowerPoint, Internet);
დ) სასურველია უცხო ენის ცოდნა;
2. წამყვანი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:
ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ) სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა;
გ) „საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონი;
დ)„საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ'' საქართველოს კანონი;
ე) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
ვ)საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის #414 ბრძანებულება ,,საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცების შესახებ''

ზ)„რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის #466 ბრძანებულება;
თ)"საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/310 გადაწყვეტილება.

მუხლი 7.

1. სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) უმაღლესი განათლება: (სასურველია იურიდიული) ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ) სასურველია სამუშაო გამოცდილება;
გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების ცოდნა (Ms. Word, Ms. Excel, Ms. PowerPoint, Internet);
დ) სასურველია უცხო ენის ცოდნა;
2. სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:
ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ)სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა;
გ)„საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონი;
დ)"რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის #466 ბრძანებულება;
ე)საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის #414 ბრძანებულება ,,საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცების შესახებ''
ვ)"საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/310 გადაწყვეტილება;
ზ)"საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ" საქართველოს კანონი.

მუხლი 8.

1. თარჯიმნის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) სასურველია უმაღლესი განათლება: (სასურველია უცხო ენის სპეციალობით, რუსული, სასურველია თურქული ან/და ინგლისური) ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ) სასურველია სამუშაო გამოცდილება;
გ)კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების ცოდნა (Ms. Word, Ms. Excel, Ms. PowerPoint, Internet);

2. თარჯიმნის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:
ა) "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი;
ბ) "საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/310 გადაწყვეტილება.

მუხლი 9.
1. სპეციალისტის (სამეურნეო საკითხებში) ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) უმაღლესი განათლება: ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ) სასურველია სამუშაო გამოცდილება;
გ)კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების ცოდნა (Ms. Word, Ms. Excel, Ms. PowerPoint, Internet);
2. სპეციალისტის (სამეურნეო საკითხებში) ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:
ა) "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი;
ბ)"საგადასახადო კონსტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანება;
გ)"საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/310 გადაწყვეტილება.
მუხლი 10.
1. ქსელის ადმინისტრატორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) უმაღლესი განათლება (სასურველია ეკონომიკური ან ინფორმაციული ტექნოლოგიების განხრით) ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ) სასურველია ინფორმაციული ტექნოლოგიების, პროგრამული უზრუნველყოფის ან ინფრასტრუქტურის სფეროში მუშაობის გამოცდილება;
გ)MS Ptoject Server; MS Windows; MS Office (Word, excel, Internet Explorer); MS Outiook პროგრამების სრულყოფილი ცოდნა;
2. ქსელის ადმინისტრატორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:
ა) "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი;
ბ) "საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/310 გადაწყვეტილება.

მუხლი 11.

1. კურიერის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) სასურველია უმაღლესი განათლება;

ბ) სასურველია სამუშაო გამოცდილება;

გ) სასურველია მართვის მოწმობის ფლობა;

2. კურიერის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

ა) "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი;

ბ)საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VIII თავი;

გ)"საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/310 გადაწყვეტილება.

მუხლი 12.

1. სასამართლოს თავმჯდომარის პირადი მდივნის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა)უმაღლესი განათლება: ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) სასურველია სამუშაო გამოცდილება;

გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების ცოდნა (Ms. Word, Ms. Excel, Ms. PowerPoint, Internet);

დ) სასურველია უცხო ენის ცოდნა;

2. სასამართლოს თავმჯდომარის პირადი მდივნის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

ა) "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი;

ბ) "საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ" საქართველოს კანონი;

გ)"საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/310 გადაწყვეტილება.

მუხლი 13.

1. მანდატურის სამსახურის უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა)უმაღლესი განათლება: ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ა)მუშაობის გამოცდილება - არანაკლებ 2 წელი;

2. მანდატურის სამსახურის უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ)"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი;

გ)"იარაღის შესახებ" საქართველოს კანონი;

დ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი;

ე)"საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ" საქართველოს კანონი;
ვ)"შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონი;
ზ)"სასამართლოში ფოტოგადაღების, კინო-, ვიდეო-, აუდიო ჩაწერისა და ეთერში გადაცემის წესის შესახებ" სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანება;
თ)საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის #466-ე ბრძანებულებით დამტკიცებული "რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ" დებულების 10^1-ე მუხლი.

მუხლი 14.
1. მანდატურის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) სასურველია უმაღლესი განათლება;
ბ) სასურველია სამუშაო გამოცდილება;
2) მანდატურის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დადგენილია შემდეგი საკონკურსო თემატიკა:
ა) "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი;
ბ)"შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონი;
გ)"სასამართლოში ფოტოგადაღების, კინო-, ვიდეო-, აუდიო ჩაწერისა და ეთერში გადაცემის წესის შესახებ" სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანება;
დ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი;

ბათუმის საქალაქო სასამართლოს

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ. ბათუმი 06 აგვისტო, 2013 წ.

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა - ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე - **დავით მამისეიშვილი,** .

სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ხვიჩა კიკილაშვილი** - ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის წევრები :

ეკატერინე ჯინჭველაშვილი - ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;

ვიოლეტა ფორჩხიძე - ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;

ადამ მახარაძე - დამოუკიდებელი სპეციალისტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი;

სხდომას არ ესწრებოდა - საკონკურსო - საატესტაციო კომისიის წევრი თეონა ჭუმბურიძე,, დამოუკიდებელი სპეციალისტი, ფიზიკური პირი, ადვოკატი.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო ორი საკითხი :

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარება.
2. კონკურსის ჩატარების პროცედურების განსაზღვრა.

1. კომისიის წევრებმა მოისმინეს დავით მამისეიშვილის ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, კონკურსს ექვემდებარება შემდეგი საშტატო თანამდებობები:

ბათუმის საქალაქო სასამართლოში:

N	თანამდებობის დასახელება	ვაკანსია
1	სასამართლოს მენეჯერი-საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი	1
საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება		
2	მოსამართლის თანაშემწე	11

3	სხდომის მდივანი	7
4	სასამართლოს თავმჯდმარის პირადი მდივანი	1
5	თარჯიმანი	1
6	სპეციალისტი (სამეურნეო საკითხებში)	1
7	ქსელის ადმინისტრატორი	1
კანცელარია და მოქალაქეთა მისაღები (განყოფილება)		
8	განყოფილების უფროსი	1
9	წამყვანი სპეციალისტი	2
10	სპეციალისტი	4
11	კურიერი	3
მანდატურის სამსახური		
12	მანდატურის სამსახურის უფროსი	1
13	მანდატური	6

ქობულეთის მაგისტრატ სასამართლოში:

N	თანამდებობის დასახელება	ვაკანსია
1	სხდომის მდივანი	1
2	სპეციალისტი	1
3	მანდატური	1

2. კომისიის წევრებმა მოისმინეს დავით მამისეიშვილის ინფორმაცია, კონკურსის ჩატარების პროცედურების თაობაზე, რომლის თანახმადაც სასურველია:

- კონკურსი ჩატარდეს გასაუბრების ფორმით;

- კონკურსში მონაწილოება მიიღოს მხოლოდ იმ კანდიდატმა, რომელიც განაცხადის (აპლიკაციის) გადარჩევის საფუძველზე დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;

- კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე დაკავშირება მოხდეს მხოლოდ შერჩევის შედეგად შემდეგ ეტაპზე გადასულ კანდიდატთან მის მიერ განაცხადში მითითებული ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით;

- საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრაციული ვებგვერდის (www.hr.gov.ge)მეშვეობით კონკურსი გამოცხადდეს 2013 წლის 07 აგვისტოს, განცხადებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2013 წლის 20 აგვისტო.

- ბათუმის საქალაქო სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ განიხილა - ბათუმის საქალაქო სასამართლოში კონკურსის გამოცხადების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოში გამოცხადდეს კონკურსი აპარატის მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე;
2. კონკურსი ჩატარდეს გასაუბრების ფორმით;
3. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნომ უზრუნველყოს წარმოდგენილი განაცხადების შესაბამისობის შემოწმება დადგენილ მოთხოვნებთან;
4. კონკურსში მონაწილოება მიიღოს მხოლოდ იმ კანდიდატმა, რომელიც განაცხადის (აპლიკაციის) გადარჩევის საფუძველზე დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;
5. კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე დაკავშირება მოხდეს მხოლოდ შერჩევის შედეგად შემდეგ ეტაპზე გადასულ კანდიდატთან მის მიერ განაცხადში მითითებული ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით;
6. საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრაციული ვებგვერდის (www.hr.gov.ge)მეშვეობით კონკურსი გამოცხადდეს 2013 წლის 07 აგვისტოს, განცხადებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2013 წლის 20 აგვისტო.

კომისიის თავმჯდომარე

დავით მამისეიშვილი -

თავმჯდომარის მოადგილე

ხვიჩა კიკილაშვილი -

კომისიის წევრი

ეკატერინე ჯინჭველაშვილი -

კომისიის წევრი

ვიოლეტა ფორჩხიძე -

კომისიის წევრი

ადამ მახარაძე -